



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

თორნიკე შერმადინი

„22“ 11 “ 2013 წელი

ეგზ 1

სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 0158/00

(არასაიდუმლო ნაწილი)

2009-2012 დასრულებული წლებისათვის

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
მოკლე მიმოხილვა	5
ადმინისტრაციული ხარჯები	6
კაპიტალური ხარჯები	21

შემოკლებანი

- სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“ - „ეროვნული ბანკი“

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ 2009, 2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში გაწეული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება ეროვნული ბანკის მიერ გაწეულ ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანია, სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის“ შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები¹ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ეროვნული ბანკისთვის დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების შესახებ;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს „საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე განკარგულებები²;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს „საქართველოს ეროვნული ბანკის წლის საფინანსო გეგმის, ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე განკარგულება³;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ეროვნული ბანკის ყველა ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეულ ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებთან:

1. ეროვნული ბანკის 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების პროექტების მომზადება;
2. ეროვნული ბანკის საბჭოსთვის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის პროექტის წარდგენა და დამტკიცება;
3. ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შესრულება;
4. ბანკის საბჭოსთვის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

¹ 2008 წლის 2 დეკემბრის N333, 2009 წლის 18 დეკემბრის N236/01, 2010 წლის 17 დეკემბრის N164/01 და 2011 წლის 2 დეკემბრის N100/04 ბრძანებები.

² საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2008 წლის 13 ნოემბრის N25 და 2009 წლის 1 დეკემბრის N40.

³ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის N21 განკარგულება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების პროექტების შედგენას, მათ დამტკიცებას, შესრულებას, შესრულებაზე მონიტორინგს და ანგარიშგებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს „საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის წლის საფინანსო გეგმის, ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს განკარგულებით⁴ დამტკიცებული დებულებებით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობა. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც გულისხმობს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ეროვნული ბანკის 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული საქმიანობა არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს დადგენილ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიში მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეულ ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. გამომდინარე იქიდან, რომ კაპიტალური ხარჯების უდიდესი ნაწილი მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ დასაიდუმლოებულ ინფორმაციას, აუდიტის ანგარიში წარმოდგენილია ორ ნაწილად:

1. არასაიდუმლო ხარჯები

- 1.1 ადმინისტრაციული ხარჯები
- 1.2 კაპიტალური ხარჯები (არასაიდუმლო ნაწილი)

2 საიდუმლო ხარჯები

- 2.1 კაპიტალური ხარჯები (საიდუმლო ნაწილი)

აუდიტის ანგარიშის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია დასაიდუმლოებულ კაპიტალურ ხარჯებთან, მოცემულია განცალკევებულად, გრიფით „საიდუმლოს“ გამო, თუმცა იგი წარმოადგენს მთლიანი აუდიტის ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

⁴ 2008 წლის 13 ნოემბრის N25, 2009 წლის 1 დეკემბრის N40 და 2011 წლის 1 დეკემბრის N21 განკარგულებები.

მოკლე მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული ბანკი“ არის საქართველოს ცენტრალური ბანკი. ეროვნული ბანკი საქმიანობას ახორციელებს, საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, ყველა საბჭოსა და ორგანიზაციაში.

- ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ორგანოსთან. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ ბანკსა და სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ორგანოს შორის, იმ პირობით, რომ აღნიშნული ორგანო დაიცავს ამ გზით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

- ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნის მთავრობას, ცენტრალურ ბანკსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრიც არის თვითონ ეროვნული ბანკი ან საქართველო.

- როგორც საქართველოს წარმომადგენელს, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები.

- ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

- ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

- ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

- ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;
- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
- ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;
- ორგანული კანონის შესაბამისად განახორციელოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით;
- შეასრულოს ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

ეროვნული ბანკი 2008 წლიდან შესყიდვებში ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ 2008 წლის 15 თებერვლის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით, რომელიც 2010 წლის 1 აპრილს საქართველოს ეროვნული ბანკის N1 დადგენილებით გამოცხადდა ძალადაკარგულად. 2010 წლის 1 აპრილიდან საქართველოს ეროვნული ბანკი შესყიდვებს ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების კანონით“. შესყიდვები ხორციელდება როგორც გამარტივებული წესით, ასევე ტენდერების საშუალებით.

1.1 ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები - 2009 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი	970,000	446,663	523,337	46%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო მონეტების ხარჯებში ჩამოწერა	770,000	369,558	400,442	48%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო ზოდების ხარჯებში ჩამოწერა	-	-	-	0%
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი (საინვესტიციო მონეტების გარდა)	200,000	77,105	122,895	39%
პერსონალის შენახვის ხარჯები	9,408,000	7,572,595	1,835,405	80%
ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	5,516,000	5,315,441	200,559	96%
დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	560,000	558,110	1,890	100%
სებ-ის საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ხარჯი (პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გარდა)	252,000	135,625	116,375	54%
თანამშრომელთა პრემირების ხარჯები	2,720,000	1,290,929	1,429,071	47%
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	120,000	90,723	29,277	76%
სხვა გასაცემლების ხარჯები	240,000	181,767	58,233	76%
ბანკის განვითარების ხარჯები	578,000	296,278	281,722	51%
რეკლამის ხარჯები	26,000	-	26,000	0%
წარმომადგენლობითი ხარჯები (საიუბილეო ღონისძიებების გათვალისწინებით)	202,000	63,909	138,091	32%
მივლინების ხარჯები (სამსახურებრივი)	150,000	111,395	38,605	74%
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	200,000	120,974	79,026	60%
ხარჯები არასახელმწიფო საპენსიო სქემის მიხედვით	391,000	381,037	9,963	97%
საპენსიო სქემის მიხედვით სავალდებულო შენატანების ხარჯები	391,000	381,037	9,963	97%
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	2,165,000	1,971,477	193,523	91%
შენობა-ნაგებობების ცვეთის ხარჯები	385,000	374,557	10,443	97%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	440,000	399,320	40,680	91%
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთის ხარჯები	115,000	107,568	7,432	94%
ავეჯისა და მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	130,000	122,593	7,407	94%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	975,000	850,929	124,071	87%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	120,000	116,510	3,490	97%
აქტივების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	203,000	82,164	120,836	40%
შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	100,000	54,751	45,249	55%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	5,000	-	5,000	0%
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	20,000	6,342	13,658	32%
ავეჯისა და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	10,000	-	10,000	0%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	68,000	21,071	46,929	31%
სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები	123,000	67,908	55,092	55%
სამეურნეო მასალებისა და მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯები	40,000	12,397	27,603	31%
ბლანკების შეძენისა და დამზადების ხარჯები	18,000	15,009	2,991	83%
ფულის შეფუთვის ხარჯები	52,000	40,502	11,498	78%
თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები	13,000	-	13,000	0%
საექსპლუატაციო ხარჯები	2,074,000	1,531,533	542,467	74%

შენობის შენახვის ხარჯები	500,000	464,827	35,173	93%
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და ლიცენზიების განახლების ხარჯები	159,000	38,877	120,123	24%
ქონების დაზღვევის ხარჯები	70,000	47,564	22,436	68%
ჟურნალ - გაზეთებზე, პერიოდული გამოცემების შეძენასა და ბანკის საკუთარ გამოცემებზე გაწეული ხარჯები	218,000	111,840	106,160	51%
შენობებისა და ფასეულობის დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯები	600,000	546,126	53,874	91%
საფოსტო-სატელეფონო ხარჯები	194,000	121,353	72,647	63%
საკანცელარიო ხარჯები	124,000	46,534	77,466	38%
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების გარდა)	120,000	93,154	26,846	78%
დანარჩენი საექსპლოატაციო ხარჯები	89,000	61,258	27,742	69%
საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	573,800	387,901	185,899	68%
აუდიტორული, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	421,000	266,382	154,618	63%
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	152,800	121,519	31,281	80%
სხვა ხარჯები	5,225,000	5,038,660	186,340	96%
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისაგან და გადაფასებისაგან	5,067,000	5,058,811	8,189	100%
ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლისაგან და გადაფასებისაგან	50,000	38,725	11,275	77%
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	-	-	0%
სასამართლოს ხარჯები	23,000	12,453	10,547	54%
ხარჯები სარეალიზაციო და სხვა აქტივების მიხედვით	50,000	-	50,000	0%
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	35,000	6,038	28,962	17%
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-	(77,367)	77,367	0%
ეროვნულ ბანკთან არსებული სსიპ-ების დაფინანსების ხარჯები	6,476,000	4,158,304	2,317,696	64%
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	28,186,800	21,934,520	6,252,280	78%

ადმინისტრაციული ხარჯები - 2010 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი	1,286,745	403,116	883,629	31%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო მონეტების ხარჯებში ჩამოწერა	566,745	403,116	163,629	71%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო ზოდების ხარჯებში ჩამოწერა	285,000	-	285,000	0%
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი (საინვესტიციო მონეტების გარდა)	435,000	-	435,000	0%
პერსონალის შენახვის ხარჯები	12,193,899	9,891,695	2,302,204	81%
ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,509,287	7,694,748	814,539	90%
დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	999,524	719,423	280,101	72%
სებ-ის საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ხარჯი (პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გარდა)	200,000	168,000	32,000	84%
თანამშრომელთა პრემიების ხარჯები	1,999,938	1,013,319	986,619	51%
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	99,850	1,500	98,350	2%
სხვა გასაცემლების ხარჯები	385,300	294,704	90,596	76%
ბანკის განვითარების ხარჯები	698,000	353,537	344,463	51%
რეკლამის ხარჯები	70,000	11,623	58,377	17%
წარმომადგენლობითი ხარჯები (საიუბილეო ღონისძიებების გათვალისწინებით)	180,000	81,941	98,059	46%
მივლინების ხარჯები (სამსახურებრივი)	200,000	117,152	82,848	59%
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	248,000	142,821	105,179	58%
ხარჯები არასახელმწიფო საპენსიო სქემის მიხედვით	-	-	-	0%
საპენსიო სქემის მიხედვით სავალდებულო შენატანების ხარჯები	-	-	-	0%
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	3,690,000	2,366,490	1,323,510	64%
შენობა-ნაგებობების ცვეთის ხარჯები	460,000	449,496	10,504	98%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	492,000	404,006	87,994	82%
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთის ხარჯები	236,000	138,404	97,596	59%
ავეჯისა და მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	133,000	83,519	49,481	63%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	2,169,000	1,216,627	952,373	56%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	200,000	74,438	125,562	37%
აქტივების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	202,000	95,386	106,614	47%
შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	45,000	4,879	40,121	11%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	5,000	40	4,960	1%
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	40,000	7,610	32,390	19%
ავეჯისა და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	5,000	3,352	1,648	67%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	107,000	79,506	27,494	74%
სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები	317,783	129,238	188,545	41%
სამეურნეო მასალებისა და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯები	227,283	87,663	139,620	39%
ბლანკების შეძენისა და დამზადების ხარჯები.	35,000	19,793	15,207	57%
ფულის შეფუთვის ხარჯები	45,500	17,728	27,772	39%
თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები	10,000	4,054	5,946	41%
საექსპლუატაციო ხარჯები	2,295,014	1,479,909	815,105	64%

შენიშნვის შენახვის ხარჯები	589,435	430,645	158,790	73%
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და ლიცენზიების განახლების ხარჯები	1,500	1,152	348	77%
ქონების დაზღვევის ხარჯები	50,000	43,756	6,244	88%
ჟურნალ - გაზეთებზე, პერიოდული გამოცემების შეძენასა და ბანკის საკუთარ გამოცემებზე გაწეული ხარჯები	252,500	105,523	146,977	42%
შენიშნვისა და ფასეულობის დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯები	688,914	526,356	162,558	76%
საფოსტო-სატელეფონო ხარჯები	183,000	80,241	102,759	44%
საკანცელარიო ხარჯები	65,000	27,055	37,945	42%
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების გარდა)	227,250	149,513	77,737	66%
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	237,415	115,668	121,747	49%
საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	720,153	283,184	436,969	39%
აუდიტორული, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	525,000	153,558	371,442	29%
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	195,153	129,626	65,528	66%
სხვა ხარჯები	6,358,000	5,312,466	1,045,534	84%
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისაგან და გადაფასებისაგან	4,120,000	4,119,911	89	100%
ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლისაგან და გადაფასებისაგან	50,000	5,443	44,557	11%
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	-	-	0%
სასამართლოს ხარჯები	25,000	4,357	20,643	17%
ხარჯები სარეალიზაციო და სხვა აქტივების მიხედვით	-	-	-	0%
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	29,000	19,640	9,360	68%
გაუთვალისწინებელი ხარჯები	2,134,000	1,163,116	970,884	55%
ეროვნულ ბანკთან არსებული სსიპ-ების დაფინანსების ხარჯები	2,125,500	1,307,885	817,615	62%
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	29,887,093	21,622,906	8,264,187	72%

ადმინისტრაციული ხარჯები - 2011 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი	907,000	752,780	154,219	83%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო მონეტების ხარჯებში ჩამოწერა	817,000	752,780	64,220	92%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო ზოდების ხარჯებში ჩამოწერა	35,000	-	35,000	0%
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი (საინვესტ. მონეტების გარდა)	55,000	-	55,000	0%
პერსონალის შენახვის ხარჯები	12,110,000	10,621,658	1,488,342	88%
ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	9,000,000	8,191,644	808,356	91%
დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	1,000,000	535,081	464,919	54%
სებ-ის საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ხარჯი(პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გარდა)	170,000	168,000	2,000	99%
თანამშრომელთა პრემირების ხარჯები	1,500,000	1,367,699	132,301	91%
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	50,000	42,130	7,870	84%
სხვა გასაცემლების ხარჯები	390,000	317,104	72,896	81%
ბანკის განვითარების ხარჯები	766,211	571,091	195,120	75%
რეკლამის ხარჯები	66,000	37,050	28,950	56%
წარმომადგენლობითი ხარჯები (საიუბილეო ღონისძიებების გათვალისწინებით)	168,211	75,776	92,435	45%
მივლინების ხარჯები (სამსახურებრივი)	220,000	196,404	23,596	89%
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	312,000	261,861	50,139	84%
ხარჯები არასახელმწიფო საპენსიო სქემის მიხედვით	-	-	-	-
საპენსიო სქემის მიხედვით სავალდებულო შენატანების ხარჯები	-	-	-	-
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯები	4,032,001	3,046,648	985,352	76%
შენობა-ნაგებობების ცვთის ხარჯები	480,000	418,575	61,424	87%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვთის ხარჯები	630,000	432,887	197,113	69%
სატრანსპორტო საშუალებების ცვთის ხარჯები	230,000	166,474	63,526	72%
ავეჯისა და მოწყობილობების ცვთის ხარჯები	92,000	72,250	19,751	79%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვთის ხარჯები	1,490,000	1,340,696	149,304	90%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	1,110,000	615,767	494,234	55%
აქტივების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	148,700	22,462	126,238	15%
შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	50,000	4,318	45,682	9%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	7,700	1,025	6,675	13%
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	40,000	7,489	32,511	19%
ავეჯისა და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	3,500	-	3,500	0%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	47,500	9,630	37,870	20%
სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები	146,835	44,794	102,041	31%
სამეურნეო მასალებისა და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯები	27,542	6,148	21,394	22%
ბლანკების შეძენისა და დამზადების ხარჯები	17,618	8,979	8,639	51%
ფულის შეფუთვის ხარჯები	101,447	29,439	72,008	29%
თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები	228	228	(0)	100%
საექსპლუატაციო ხარჯები	2,445,676	1,593,044	852,632	65%

შენობის შენახვის ხარჯები	548,000	420,851	127,149	77%
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და ლიცენზიების განახლების ხარჯები	88,400	37,328	51,072	42%
ქონების დაზღვევის ხარჯები	60,000	38,817	21,183	65%
ჟურნალ - გაზეთებზე, პერიოდული გამოცემების შეძენასა და ბანკის საკუთარ გამოცემებზე გაწეული ხარჯები	213,600	94,409	119,191	44%
შენობებისა და ფასეულობის დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯები	760,200	635,704	124,496	84%
საფოსტო-სატელეფონო ხარჯები	148,200	70,512	77,688	48%
საკანცელარიო ხარჯები	76,200	23,014	53,186	30%
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების გარდა)	262,388	192,451	69,937	73%
დანარჩენი საექსპლოატაციო ხარჯები	288,688	79,957	208,731	28%
საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	355,000	267,403	87,597	75%
აუდიტორული, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	239,800	175,587	64,213	73%
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	115,200	91,816	23,384	80%
სხვა ხარჯები	682,000	525,397	156,603	77%
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისაგან და გადაფასებისაგან	435,000	348,627	86,373	80%
ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლისაგან და გადაფასებისაგან	50,000	10,805	39,195	22%
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	-	-	-
სასამართლოს ხარჯები	25,000	-	25,000	0%
ხარჯები სარეალიზაციო და სხვა აქტივების მიხედვით	-	-	-	-
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	27,000	25,031	1,969	93%
გაუთვალისწინებელი ხარჯები	145,000	140,935	4,065	97%
ეროვნულ ბანკთან არსებული სსიპ-ების დაფინანსების ხარჯები	2,125,500	1,266,544	858,956	60%
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	23,718,922	18,711,822	5,007,100	79%

ადმინისტრაციული ხარჯები - 2012 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი	1,148,732	560,920	587,812	49%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო მონეტების ხარჯებში ჩამოწერა	600,000	338,909	261,091	56%
რეალიზებული ოქროს საინვესტიციო ზოდების ხარჯებში ჩამოწერა	515,732	222,011	293,721	43%
საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები (საინვესტიციო მონეტების გარდა)	-	-	-	-
რეპროდუცირებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები	-	-	-	-
სხვა ნუმიზმატიკური ფასეულობის დამზადების ხარჯები	33,000	-	33,000	0%
პერსონალის შენახვის ხარჯები	12,057,400	11,724,959	332,441	97%
ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,337,440	8,312,864	24,576	100%
დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	603,960	487,358	116,602	81%
სებ-ის საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ხარჯი(პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გარდა)	168,000	123,636	44,364	74%
თანამშრომელთა პრემიების ხარჯები	2,470,000	2,392,647	77,353	97%
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	60,000	-	60,000	0%
სხვა გასაცემლების ხარჯები	418,000	408,454	9,546	98%
ბანკის განვითარების ხარჯები	772,500	475,136	297,364	62%
რეკლამის ხარჯები	295,100	178,580	116,520	61%
წარმომადგენლობითი ხარჯები (საიუბილეო ღონისძიებების გათვალისწინებით)	197,400	79,073	118,327	40%
მივლინების ხარჯები (სამსახურებრივი)	180,000	144,555	35,445	80%
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	100,000	72,928	27,072	73%
ხარჯები არასახელმწიფო საპენსიო სქემის მიხედვით	-	-	-	-
საპენსიო სქემის მიხედვით სავალდებულო შენატანების ხარჯები	-	-	-	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	4,998,241	3,753,004	1,245,237	75%
შენობა-ნაგებობების ცვეთის ხარჯები	698,145	351,414	346,731	50%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	955,493	548,358	407,135	57%
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთის ხარჯები	299,177	286,889	12,288	96%
ავეჯისა და მოწყობილობების ცვეთის ხარჯები	121,121	71,976	49,145	59%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	1,225,651	1,200,593	25,058	98%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	1,698,654	1,293,774	404,880	76%
აქტივების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	338,589	28,315	310,274	8%
შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	40,135	12,703	27,432	32%
კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	10,815	146	10,669	1%
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	37,000	8,438	28,562	23%
ავეჯისა და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	1,700	495	1,205	29%
დანარჩენი ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	248,939	6,533	242,406	3%
სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები	432,630	88,838	343,792	21%
სამეურნეო მასალებისა და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯები	59,085	23,547	35,538	40%
ბლანკების შეძენისა და დამზადების ხარჯები	17,928	13,193	4,735	74%

ფულის შეფუთვის ხარჯები	335,617	52,098	283,519	16%
თანამშრომელთა სპეცტანსაცმლის ხარჯები	20,000	-	20,000	0%
საექსპლუატაციო ხარჯები	3,416,582	2,171,033	1,245,549	64%
შენობის შენახვის ხარჯები	821,000	589,396	231,604	72%
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და ლიცენზიების განახლების ხარჯები	343,646	205,415	138,231	60%
ქონების დაზღვევის ხარჯები	60,000	48,028	11,972	80%
ჟურნალ -გაზეთებზე, პერიოდული გამოცემების შეძენასა და ბანკის საკუთარ გამოცემებზე გაწეული ხარჯები	197,800	63,132	134,668	32%
შენობებისა და ფასეულობის დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯები	800,300	633,182	167,118	79%
საფოსტო-სატელეფონო ხარჯები	194,200	106,154	88,046	55%
საკანცელარიო ხარჯები	86,396	25,860	60,536	30%
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი (მიმდინარე შეკეთების გარდა)	330,661	259,009	71,652	78%
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	582,579	240,857	341,722	41%
საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	565,320	316,317	249,003	56%
აუდიტორული, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	274,800	170,450	104,350	62%
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	290,520	145,867	144,653	50%
სხვა ხარჯები	1,726,510	1,523,066	203,444	88%
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლისაგან და გადაფასებისაგან	1,467,000	1,453,565	13,435	99%
ზარალი სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლისაგან და გადაფასებისაგან	50,000	31,938	18,062	64%
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	-	-	-
სასამართლოს ხარჯები	25,000	-	25,000	0%
ხარჯები სარეალიზაციო და სხვა აქტივების მიხედვით	-	-	-	-
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	35,000	25,321	9,679	72%
გაუთვალისწინებელი ხარჯები	149,510	12,242	137,268	8%
ეროვნულ ბანკთან არსებული სსიპ-ების დაფინანსების ხარჯები	2,125,500	1,232,911	892,589	58%
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	27,582,004	21,874,499	5,707,505	79%

მივლინების, თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ეროვნული ბანკის მიერ თანამშრომელთა მივლინებებსა და მათ გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლებაზე დაგეგმილი და გაწეული ხარჯები:

მივლინების ხარჯები

წელი	გეგმური ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	სხვაობა	შესრულების მაჩვენებელი
2009	150,000	111,395	38,605	74%
2010	200,000	117,152	82,848	59%
2011	220,000	196,404	23,596	89%
2012	180,000	144,555	35,445	80%
სულ	750,000	569,506	180,494	76%

თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები

წელი	გეგმური ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	სხვაობა	შესრულების მაჩვენებელი
2009	200,000	120,974	79,026	60%
2010	248,000	142,821	105,179	58%
2011	312,000	261,861	50,139	84%
2012	100,000	72,928	27,072	73%
სულ	860,000	598,584	261,416	70%

სასამართლო ხარჯები

2008 წლის ივლისში ეროვნულ ბანკში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც სამსახურიდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა სამსახურში აღდგენის ან/და კომპენსაციის მიღების მიზნით, მიმართეს სასამართლოს.

2008 წლის 13 ნოემბერს ეროვნულ ბანკსა და ადვოკატ მიხეილ სარჯველაძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ეროვნულ ბანკს უწევდა იურიდიულ მომსახურებას (წარმომადგენლობითი, საკონსულტაციო, საადვოკატო და ა.შ., გარდა სანოტარო მომსახურებისა), რომელიც დაკავშირებული იყო ეროვნული ბანკის მიმართ მისი ყოფილი თანამშრომლების მიერ სასამართლოში აღძრული საქმის განხილვასთან. საქმე განიხილა სასამართლოს სამივე ინსტანციამ და გადაწყვეტილება, ყველა ეტაპზე, ეროვნული ბანკის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი.

საქმის მსვლელობის პროცესში, გათავისუფლებული თანამშრომლები დაიყო რამდენიმე ჯგუფად და ბანკის წინააღმდეგ შეტანილ იქნა რამდენიმე სარჩელი. ყველა პროცესზე ეროვნული ბანკის ინტერესებს ადვოკატი მიხეილ სარჯველაძე იცავდა, რომელთანაც გაფორმებული იყო ერთი ხელშეკრულება (ყველა პროცესზე), სადაც მითითებული იყო საბონუსე სისტემა საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებაში ბონუსის რაოდენობა (არც თანხობრივად, არც პროცენტულად და ა.შ.) დაყოფილი არ არის თითოეული სარჩელის მიხედვით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მოიგებდა 2 პროცესს და წააგებდა ერთს ან პირიქით, რა რაოდენობის ბონუსი უნდა აეღო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ბანკის მიერ სასამართლოზე დაგეგმილი და რეალურად გაწეული ხარჯები:

წელი	გეგმური ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	სხვაობა	შესრულების მაჩვენებელი
2009	23,000	12,453	10,547	54%
2010	25,000	4,357	20,643	17%
2011	25,000	-	25,000	0%
2012	25,000	-	25,000	0%
სულ	98,000	16,810	81,190	17%

წარმომადგენლობითი ხარჯი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ:

წელი	გეგმური ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	სხვაობა	შესრულების მაჩვენებელი
2009	202,000	63,909	138,091	32%
2010	180,000	81,941	98,059	46%
2011	168,210	75,776	92,434	45%
2012	197,400	79,073	118,327	40%
სულ	747,610	300,699	446,911	40%

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყოველ წელს სხვაობა დაგეგმილ ბიუჯეტსა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯს შორის საკმაოდ დიდია, ჯამში - 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში, აღნიშნულმა სხვაობამ 446,911 ლარი შეადგინა, რაც მენეჯმენტის მხრიდან ბიუჯეტის დაგეგმვის სისუსტეზე მიუთითებს.

გაუთვალისწინებელი ხარჯები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები:

წელი	გეგმური ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	სხვაობა	შესრულების მაჩვენებელი
2009	-	(77,367)	77,367	-
2010	2,134,000	1,163,116	970,884	55%
2011	145,000	140,935	4,065	97%
2012	149,510	12,242	137,268	8%
სულ	2,428,510	1,238,926	1,189,584	51%

2008 წლის 14 მარტს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ შევიდა ცვლილება და ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე - პრეზიდენტის წევრობიდან ვადის ამოწურვის ან გათავისუფლების შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნების ვადა 2 წლიდან 6 თვის ვადამდე შემცირდა.

ეროვნული ბანკი, საბჭოს წევრის ვადის ამოწურვის ან გათავისუფლების შემთხვევაში, გასაცემ თანამდებობრივ სარგოს დისკონტირებული ღირებულებით, ყოველი წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებდა. კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ ეროვნულ ბანკს მოუწია უკვე დარიცხული ხარჯის შემოსავალში აღიარება, რომელმაც შეადგინა 101,250 ლარი. აქედან გამომდინარე, 2009 წლის ბოლოს გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლში გაჩნდა უარყოფითი ნაშთი.

2010 წლის 23 მარტს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ შევიდა ცვლილება: „ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ან რეალიზებული ლარის ბანკნოტები და მონეტები წარმომადგენს ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულებას ნომინალური ღირებულებით, გარდა მიმოქცევიდან ამოღებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტებისა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წელს ბანკის მიერ აღწერილ იქნა მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტებისა და მონეტების ნომინალური ღირებულება, რომელმაც შეადგინა 1,163,116 ლარი. აღნიშნული თანხა აღიარებულ იქნა გაუთვალისწინებელ ხარჯად.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ყოველ წელს, გარდა 2011 წლისა, სხვაობა დაგეგმილ ბიუჯეტსა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯს შორის საკმაოდ დიდია. 2010 წელს აღნიშნულმა სხვაობამ 970,884 ლარი შეადგინა. ჯამში 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში აღნიშნულმა სხვაობამ 1,189,217 ლარი შეადგინა, რაც მენეჯმენტის მხრიდან ბიუჯეტის დაგეგმვის სისუსტეზე მიუთითებს.

მატერიალური მარაგები

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სეზ-ის საწყობებში ირიცხება 743,197 ლარის ღირებულების სხვადასხვა მატერიალური ფასეულობები, საიდანაც 1997 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, საწყობში რიცხული მატერიალური ფასეულობების ნაშთების ღირებულება შეადგენს 403,449 ლარს.

საწყობებში წლების მანძილზე ინახება ისეთი მატერიალური მარაგები, რომლის გამოყენებაც ნაკლებად შესაძლებელია. მაგალითად: 2000 წლიდან საწყობში ირიცხება 1,304 ერთეული - 168,581 ლარის ღირებულების წიგნი „ფული საქართველოში“; 2002 წლის 21 თებერვლიდან საწყობში ირიცხება 5,280 ლარის ა/მ ნაწილები; 2004 წლიდან ინახება 8,860 ლარის კარტრიჯები, ტონერები და კომპიუტერის აქსესუარები.

ა/მ-ზე გაწეული ხარჯები

2009 წელს საწვავის ხარჯმა შეადგინა 59,343 ლარი (16 ა/მ), 2010 წელს - 111,500 ლარი (22 ა/მ), 2011 წელს - 166,925 ლარი (22 ა/მ), ხოლო 2012 წელს - 235,600 ლარი (39 ა/მ).

შრომის ანაზღაურება

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ეროვნული ბანკის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები:

2009 წელი	შრომის ანაზღაურება						პრემია			
	თანამშრომელთა რაოდენობა	ანაზღაურება	მენეჯმენტი	ანაზღაურება	უმაღლესი მენეჯმენტი	ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	პრემია	მენეჯმენტი	პრემია
იანვარი	290	334,239	9	22,177	4	27,560	-	-	-	-
თებერვალი	284	324,912	10	23,625	4	27,958	25	66,020	9	46,540
მარტი	279	335,327	10	25,255	5	33,349	536	1,739,779	10	101,840
აპრილი	272	335,242	12	26,927	5	33,840	28	10,143	-	-
მაისი	274	336,022	12	32,592	5	33,840	29	40,339	9	21,623
ივნისი	266	445,041	14	55,227	5	45,250	26	37,717	10	25,574
ივლისი	264	400,016	13	52,125	5	45,250	34	74,686	4	24,250
აგვისტო	262	359,132	10	46,663	5	43,150	7	11,750	3	14,250
სექტემბერი	252	396,592	10	51,227	5	42,341	3	10,625	4	23,625
ოქტომბერი	246	410,406	11	54,589	5	39,750	28	106,303	5	22,500
ნოემბერი	248	410,075	11	56,175	4	36,750	4	18,500	-	-
დეკემბერი	298	532,555	15	76,255	7	66,565	258	345,388	16	34,625
სულ		4,619,559		522,838		475,603		2,461,250		314,827

სულ შრომის ანაზღაურების ხარჯები	6,009,176
თანამდებობრივი სარგო	5,618,000
საავადმყოფო ფურცელი	111,182
შვებულება	279,994

2010 წელი	შრომის ანაზღაურება						პრემია			
	თანამშრომელთა რაოდენობა	ანაზღაურება	მენეჯმენტი	ანაზღაურება	უმაღლესი მენეჯმენტი	ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	პრემია	მენეჯმენტი	პრემია
იანვარი	278	527,254	15	75,333	8	67,000	-	-	-	-
თებერვალი	291	552,710	16	76,500	8	67,000	17	28,750	3	10,875
მარტი	295	554,449	15	75,000	8	67,000	295	100,804	15	58,125
აპრილი	292	563,613	14	72,276	8	61,316	-	-		
მაისი	288	564,282	15	74,684	8	65,421	19	32,600	3	9,000
ივნისი	291	567,954	15	76,670	7	57,000	23	24,825	5	15,250
ივლისი	292	522,807	15	75,716	7	57,000	36	73,575	8	34,250
აგვისტო	287	478,619	15	65,097	7	48,841	15	21,225	1	9,375
სექტემბერი	386	514,873	15	66,136	7	57,000	-	-		
ოქტომბერი	283	546,999	15	77,625	7	57,000	30	54,960	10	17,750
ნოემბერი	285	562,365	15	77,125	7	57,000	17	40,600	2	14,575
დეკემბერი	288	556,386	15	74,500	7	57,000	278	425,530	9	41,250
სულ		6,512,311		886,663		718,578		802,869		210,450

სულ შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,582,171
თანამდებობრივი სარგო	8,117,552
საავადმყოფო ფურცელი	84,127
შვებულება	380,492

2011 წელი	შრომის ანაზღაურება						პრემია			
	თანამშრომელთა რაოდენობა	ანაზღაურება	მენეჯმენტი	ანაზღაურება	უმაღლესი მენეჯმენტი	ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	პრემია	მენეჯმენტი	პრემია
იანვარი	305	554,645	16	72,171	7	54,368	25	21,150	2	6,000
თებერვალი	287	565,072	15	76,838	7	57,000	7	6,350		
მარტი	286	582,065	16	81,875	7	57,000	37	59,875	5	17,500
აპრილი	286	587,934	16	81,889	7	57,000	-	-		
მაისი	288	581,953	16	82,492	7	57,000	20	28,385	2	6,900
ივნისი	294	595,967	16	80,977	7	57,000	43	158,100	5	26,875
ივლისი	298	555,107	16	74,256	7	57,000	24	33,925	2	7,250
აგვისტო	302	486,420	16	77,853	7	57,000	25	42,340	6	31,250
სექტემბერი	299	537,302	16	79,847	7	53,591	27	36,775	5	9,125
ოქტომბერი	280	548,948	16	80,112	7	57,000	31	70,940	5	24,750
ნოემბერი	275	549,978	16	81,278	7	57,000	23	6,500	7	51,835
დეკემბერი	274	525,212	16	79,256	7	57,000	297	721,874		
სულ		6,670,602		948,844		677,959		1,186,214		181,485

სულ შრომის ანაზღაურების ხარჯები 8,894,725

თანამდებობრივი სარგო 8,297,405

საავადმყოფო ფურცელი 106,907

შვებულება 490,413

2012 წელი	შრომის ანაზღაურება						პრემია			
	თანამშრომელთა რაოდენობა	ანაზღაურება	მენეჯმენტი	ანაზღაურება	უმაღლესი მენეჯმენტი	ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	პრემია	მენეჯმენტი	პრემია
იანვარი	270	544,720	16	80,775	7	57,000			4	34,625
თებერვალი	276	569,464	16	79,875	7	57,000	34	51,225	3	7,000
მარტი	276	549,651	16	81,006	7	54,000		-		
აპრილი	276	574,642	16	81,125	4	46,500	52	101,235	5	19,000
მაისი	279	579,802	16	77,625	6	50,636	280	632,995	15	111,750
ივნისი	281	577,272	16	79,440	6	53,500		-		
ივლისი	290	531,813	17	76,432	6	51,227	54	153,065	10	53,250
აგვისტო	293	508,759	17	79,670	6	53,500	33	63,287	7	19,500
სექტემბერი	295	554,228	17	84,975	6	53,500	85	166,910	9	30,250
ოქტომბერი	293	576,109	17	84,068	6	53,500	41	49,535		
ნოემბერი	289	575,343	16	84,250	6	53,500	78	126,870	7	33,500
დეკემბერი	299	575,009	17	85,155	6	53,500	297	661,025	14	77,625
სულ		6,716,813		974,397		637,364		2,006,147		386,500

სულ შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,923,858
თანამდებობრივი სარგო	8,328,574
საავადმყოფო ფურცელი	136,617
შვებულება	458,667

2009 წლის მარტში გაცემული პრემიიდან - 1,485,150 ლარი წარმოადგენს 2008 წლის გასაცემ გასამრჯელოს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით 2009 წლის 27 მარტს „საქართველოს ეროვნული ბანკის მომსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების, კომპენსაციისა და დახმარების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის თანახმად გაიცა. გასამრჯელო გაცემულია თანამშრომლებზე 2008 წელს, მათთვის დარიცხული საშუალო თვიური ხელფასის 1.5 კოეფიციენტის ოდენობით.

2009 წლიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის მომსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების, კომპენსაციისა და დახმარების შესახებ“ დებულებიდან აღნიშნული მუხლი ამჟამად ამოღებულია.

სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები ეროვნული ბანკის საბჭოსთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ადმინისტრაციული ხარჯების ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები საკანონმდებლო მოთხოვნებთან მიმართებაში არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

1.2 კაპიტალური ხარჯები

კაპიტალური ხარჯები - 2009 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
უძრავი ქონება	2,050,000	186,934	1,863,066	9%
მშენებლობა-რეკონსტრუქცია	2,050,000	186,934	1,863,066	9%
მიწა	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	4,154,000	3,463,496	690,504	83%
საოფისე ავეჯის შეძენა	30,000	18,635	11,365	62%
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	500,000	128,205	371,795	26%
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეძენა	967,000	757,811	209,189	78%
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	2,657,000	2,558,845	98,155	96%
არამატერიალური აქტივების შეძენა	3,541,000	445,553	3,095,447	13%
ოქროს საინვესტიციო მონეტებისა და ზოდების დამზადების ხარჯები	700,000	647,000	53,000	92%
ოქროს საინვესტიციო მონეტების დამზადების ხარჯები	700,000	647,000	53,000	92%
ოქროს საინვესტიციო ზოდების დამზადების ხარჯები	-	-	-	-
სულ კაპიტალური ხარჯები	10,445,000	4,742,983	5,702,017	45%

კაპიტალური ხარჯები - 2010 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
უძრავი ქონება	8,360,000	2,596,025	5,763,975	31%
მშენებლობა-რეკონსტრუქცია	8,360,000	2,596,025	5,763,975	31%
მიწა	-	-	-	0%
ძირითადი საშუალებების შეძენა	5,410,890	3,260,942	2,149,948	60%
საოფისე ავეჯის შეძენა	50,000	26,739	23,261	53%
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	505,000	406,004	98,996	80%
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეძენა	1,173,590	493,882	679,708	42%
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	3,682,300	2,334,317	1,347,983	63%
არამატერიალური აქტივების შეძენა	6,589,100	2,402,378	4,186,722	36%
ოქროს საინვესტიციო მონეტებისა და ზოდების დამზადების ხარჯები	-	-	-	0%
ოქროს საინვესტიციო მონეტების დამზადების ხარჯები	-	-	-	0%
ოქროს საინვესტიციო ზოდების დამზადების ხარჯები	-	-	-	0%
სულ კაპიტალური ხარჯები	20,359,990	8,259,345	12,100,645	41%

კაპიტალური ხარჯები - 2011 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
უძრავი ქონება	49,312,000	5,130,746	44,181,254	10%
მშენებლობა-რეკონსტრუქცია	49,113,700	4,962,705	44,150,995	10%
მიწა	198,300	168,041	30,259	85%
ძირითადი საშუალებების შეძენა	2,475,750	737,254	1,738,496	30%
საოფისე ავეჯის შეძენა	110,500	108,829	1,671	98%
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	588,000	129,900	458,100	22%
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეძენა	1,695,500	429,552	1,265,948	25%
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	81,750	68,973	12,777	84%
არამატერიალური აქტივების შეძენა	6,230,000	4,704,388	1,525,612	76%
ოქროს საინვესტიციო მონეტებისა და ზოდების დამზადების ხარჯები	5,000,000	-	5,000,000	0%
ოქროს საინვესტიციო მონეტების დამზადების ხარჯები	-	-	-	-
ოქროს საინვესტიციო ზოდების დამზადების ხარჯები	5,000,000	-	5,000,000	0%
სულ კაპიტალური ხარჯები	63,017,750	10,572,388	52,445,362	17%

კაპიტალური ხარჯები - 2012 წელი	ბიუჯეტი	ფაქტობრივი მაჩვენებლები	დარჩენილი რესურსები	ბიუჯეტის შესრულება
უძრავი ქონება	54,033,100	47,025,031	7,008,069	87%
მშენებლობა-რეკონსტრუქცია	54,033,100	47,025,031	7,008,069	87%
მიწა	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	6,240,800	3,998,517	2,242,283	64%
საოფისე ავეჯის შეძენა	1,385,000	1,057,711	327,289	76%
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	705,000	696,000	9,000	99%
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეძენა	2,655,400	1,243,364	1,412,036	47%
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	1,495,400	1,001,442	493,958	67%
არამატერიალური აქტივების შეძენა	2,391,500	217,668	2,173,832	9%
ოქროს საინვესტიციო მონეტებისა და ზოდების დამზადების ხარჯები	5,406,144	3,783,624	1,622,520	70%
ოქროს საინვესტიციო მონეტების დამზადების ხარჯები	-	-	-	-
ოქროს საინვესტიციო ზოდების დამზადების ხარჯები	5,406,144	3,783,624	1,622,520	70%
სულ კაპიტალური ხარჯები	68,071,544	55,024,840	13,046,704	81%

ძირითადი აქტივები (არასაიდუმლო ნაწილი)

- 2012 წელს გაწეული კაპიტალური ხარჯების საერთო მოცულობიდან (55,024,840 ლარი) 27,024,333 ლარი შეადგენს სანაპიროს N2-ში მდებარე სათავო ოფისის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შპს „ჰუაჩუან ჯორჯია ლიმიტედ კომპანის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების⁵ თანახმად, სათავო ოფისის მშენებლობაში ეროვნული ბანკი მონაწილეობდა როგორც დამფინანსებელი, თანხით 16,400,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, რაც შეადგენდა 26,984,560 ლარს. ეროვნულმა ბანკმა ზემოთ აღნიშნული თანხა გადარიცხა კომპანიის ანგარიშზე, რომელიც 2012 წლის 1 იანვრისთვის ბანკის საბალანსო ანგარიშზე აღრიცხული იყო, როგორც ავანსად გადარიცხული თანხა. 2012 წლის 25 სექტემბერს, 9,262,843.77 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (15,370,762.95 ლარი) დაუბრუნდა გადამხდელს, რომელმაც დაბრუნებული თანხიდან განახორციელა ანგარიშსწორება 9 ორგანიზაციასთან. სულ გადაირიცხა 10,141,610.92 ლარი, ხოლო 5,229,152.03 ლარი გადატანილ იქნა დაუმთავრებელი სამუშაოს გასაგრძელებლად, ხელშეკრულების ფასის ფარგლებში.

- 2011 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფისგან“ დაბა წყნეთში ზონა „ა“-ში მდებარე 600მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მიიღო აღნაგობის უფლება⁶ ამავე წლის 31 აგვისტომდე, რომელზედაც ეროვნულმა ბანკმა ააშენა შენობა-ნაგებობა და როგორც უძრავ ქონებაზე შეიძინა საკუთრების უფლება, რაც დადასტურებულია 2011 წლის 16 მარტს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით და საჯარო რეესტრის ამონაწერით N 882011200228-29.04.2011.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 29 ნოემბრის N92 განკარგულებით, წყნეთის ნაკვეთზე აშენებული საცხოვრებელი კოტეჯი, მასში განთავსებული ძირითადი საშუალებები და

⁵ N5/30 08.02.2011.

⁶ ხელშეკრულება N 7/30 16.02.2011 და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეთანხმებები; მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის N939 და 2010 წლის 3 აგვისტოს N1019 განკარგულებები.

მატერიალური ფასეულობები (ნარჩენი ღირებულებით 322,496 ლარი) უსასყიდლოდ გადაეცა შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისს“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აღნაგობა არის სხვისი ქონებით შეზღუდული სარგებლობის უფლება. აქედან გამომდინარე, შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში თავიდანვე ჩადებული იყო განსაზღვრული დროით, კერძოდ, 2011 წლის 31 აგვისტომდე, მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება. ასევე ხელშეკრულების 3.4 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, აღნაგობის უფლებით გადაცემულ ნაკვეთზე არსებული ნაგებობა უსასყიდლოდ გადაეცემოდა შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“.

სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ პასუხისმგებელი პირის წერილობითი განმარტებით⁷, აღნიშნული ხარჯები გაწეულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ეროვნული ბანკის მოხელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ შრომის ანაზღაურების დონეს.

22 ნოემბერი, 2013 წელი

თბილისი, საქართველო

⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული წერილი N2131/01 – 01.11.2013